

PUBLICIST THOUGHT OF DAVIT KASRADZE

დავით კასრადის პუბლიცისტური ნაზრევი

Aleksandre Mgebrishvili

Doctor of Philological Sciences, Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-4275-2417>

Abstract. Davit Kasradze, who appeared in the public arena at the end of the 20th century, makes a remarkable contribution to the rapprochement of the Georgian and Ossetian people and the deepening of the Georgian-Ossetian cultural traditions. The problems posed in his texts continue to be relevant. The whole work of the writer serves the development of national culture and native literature, he tries to deepen it. He fights to protect classical literary traditions. From each line of D. Kasradze, the perversity of the outdated era of Tsar's Russia, the indolence of spiritually degraded officials, the servants of the time-consuming system, the unbearable life of the poorest strata of society can be clearly seen. The writer sees the main vein of his work in trying to shake the dormant national strings. He deeply believes that this is the only way of salvation.

Davit Kasradze was born in 1885 in the village Avnevi in the Prone gorge. After graduating from the Gori Theological School, he continued his studies at the Tbilisi Art School, and later at the University of Paris at the Faculty of Philosophy and Literature.

Since the first years of the 20th century, Davit Kasradze had been active in the artistic arena. He cooperates with the editors of a number of periodical publishers. His letters are printed in such magazines and newspapers as: „Klde“, „Sakartvelo“, „Mnatobi“, „Public Newspaper“, „Jejili“, „Literature and Art“, „Sinatle“ and etc. Some of the materials are printed with the author's signature, and some with pseudonyms: „Kartleli“, „Diogeni“, „X“, „Kandidi“, „De-Ka“, „Kenti“ and etc.

D. Kasradze is actively involved in everyday life, he observes the events with the eyes of a strict critic, unhesitatingly exposes the shortcomings of public existence and looks for ways out. Despite the shortcomings, his eye does not overlook the daily life of significant literary processes and tells the reader with delight about each positive note..

Keywords: Tskhinvali, Samachablo, writing, Tsar's Russia, opinion journalism, literary process, culture, education.

ალექსანდრე მგებრიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., №53, 1400, საქართველო,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-4275-2417>

აბსტრაქტი. XX საუკუნის დამდეგიდან სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულ დავით კასრადეს საყურადღებო წვლილი შეაქვს ქართველი და ოსი ხალხის დაახლოებასა და

ქართულ-ოსური კულტურული ტრადიციების გაღრმავებაში. მის ტექსტებში დასმული პრობლემები კვლავაც ინარჩუნებს აქტუალურობას. მწერლის მთელი მოღვაწეობა ეროვნული კულტურის და მშობლიური ლიტერატურის განვითარებას ემსახურება, მის გაღრმავებას ცდილობს. იბრძვის კლასიკური ლიტერატურული ტრადიციების დასაცავად. დ. კასრაძის თითოეული სტრიქონიდან მკვეთრად მოჩანს მეფის რუსეთის მოძველებული ეპოქის უკუღმართობა, დრომოჭმული სისტემის მსახურ, სულიერად დეგრადირებულ, მოხელეთა თავნებობა, საზოგადოების ყველაზე გაჭირვებული ფენის გაუსაძლისი ცხოვრება. თავისი მოღვაწეობის ძირითად ძარღვს მწერალი მიძინებული ეროვნული სიმების შერხევის მცდელობაში ხედავს. ღრმად სწამს, რომ ეს არის ერთადერთი გადარჩენის გზა.

დავით კასრაძე დაიბადა 1885 წელს ფრონეს ხეობის სოფელ ავნევში.¹ გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს თბილისის სამხატვრო სასწავლებელში, მოგვიანებით კი პარიზის უნივერსიტეტში ფილოსოფიისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე.

XX საუკუნის პირველი წლებიდანვე დავით კასრაძე აქტიურ სამოღვაწეო ასპარეზოზეა. თანამშრომლობს არაერთი პერიოდული გამოცემის რედაქციასთან. მისი წერილები იბეჭდება ისეთ ჟურნალ-გაზეთებში, როგორებიცაა: „კლდე“, „საქართველო“, „მნათობი“, „სახალხო გაზეთი“, „ჯეჯილი“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, „სინათლე“ და სხვ. მასალების ნაწილი დაბეჭდილია ავტორის ხელმოწერით, ხოლო ნაწილი ფსევდონიმებით: „ქართლელი“, „დიოგენი“, „X“, „კანდიდი“, „დე-კა“, „კენტი“ და ა.შ.

დ. კასრაძე აქტიურად არის ჩართული ყოველდღიური ცხოვრების ფერხულში, მკაცრი კრიტიკოსის თვალთა აკვირდება მოვლენებს, მოურიდეზად ამხელს საზოგადოებრივი ყოფიერების ნაკლოვან მხარეებს და ეძებს გამოსავალ გზებს. ნაკლოვანებათა გვერდით, მის თვალს შეუმჩნეველი არ რჩება საგულისხმო ლიტერატურული პროცესების ყოველდღიურობა და აღფრთოვანებით მოუთხრობს მკითხველს თითოეული პოზიტიური ნოტის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ცხინვალი, სამაჩაბლო, მწერლობა, მეფის რუსეთი, პუბლიცისტიკა, ლიტერატურული პროცესი, კულტურა, განათლება.

შესავალი. დ. კასრაძის სტილისთვის დამახასიათებელი სისადავე და უბრალოება კარგად ჩანს მის მხატვრულ თხზულებებსა და თარგმანებში. ამასთან ერთად, იგი 10-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოირჩეოდა აქტიური პუბლიცისტური მოღვაწეობით. დ. კასრაძის პუბლიცისტური წერილები ძირითადად იბეჭდებოდა ფსევდონიმებით. უამრავ სტატიათა შორის გამოირჩეოდნენ: „ოქტავ მირაზო“, „პროფესორ გერედესკულს“, „პარტიული თუთიყუშები“... სწორედ ამ უკანასკნელი ტექსტის ფურცლებიდან მოუწოდებს ავტორი მის თანამედროვეთ ყალბი ფასეულობებისაგან განდგომასა და ჭეშმარიტი, ეროვნული ღირებულებების გაცნობიერებისაკენ.

„რომელ მზეს შეუძლიან დარი ახაროს იმ ქვეყანას, სადაც ერის დიდებას თვითვე ჰკლავენ, სადაც აღარ არსებობს სინდისის მხილება, პატიოსნება? რომელ მზეს შეუძლიან იმ ქვეყნის აღორძინება და გასხივოსნება, სადაც უგუნური გატაცებით ლეგა ღრუბლებში დავქანაობთ იკაროსის ფრთებით და გვავიწყდება სინამდვილე, თუ აქ ... დაბლა ... სამშობლოს გულში როგორ ჰლახავენ ჩვენს ეროვნულ თავმოყვარეობას!...

თუ აქ... დაბლა... სამშობლო გულში ჭირი, შიმშილი მძვინვარებით როგორ ჰშლის ფრთებსა!..

¹ ავნევი - სოფელი საქართველოში. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის მიერ.

თუ აქ... დაბლა... სამშობლო გულში როგორ ერეკებიან ჩვენს სოფლებს... ხდება რბევა...

თუ აქ... დაბლა... სამშობლოს გულში...

მაგრამ რა სამშობლო, რის სამშობლოს გული?

საქმე ქვეყნიერება!..

საქმე საერთაშორისო სამშობლოა...

omni patria ...

თუ არ ვუშველეთ, დაილუპება საფრანგეთი... მას გერმანია მიჰყვება... ინგლისი... შორს ამერიკა...

აშურიანი... ტირიფონა კი ეს საუკეთესო ეტაპებია... უკედ, სინონიმები ჩვენი... გაპროლეტარებისა... საერთაშორისო გათქვეფისა...

საერთაშორისო გაქრობისა...

მაშ რის სამშობლო, რის ტირიფონა?

ვიბრძოლოთ გარეულებისთვის...

ვიბრძოლოთ შორეულებისთვის...

იქ... შორეულ აღმოსავლეთში...

იქ... აფრიკის გულში...

იქ... თეთრ-შავ-წითელ კანიანებისთვის...

იქ... ტუნდრებში

ვიბრძოლოთ ჩუვაშებ-სამოედ-მნაცაკანიანებისთვის...

უჩვენოთ ვერ იარსებებს ჩინეთის რესპუბლიკა...

ფრანგთა პარლამენტი...

ლორდთა პალატა...

მაშ რის ქართველობა, რა ქართველობა!

რომელი სამშობლო.

რომელი ილია.

რომელი ყიფიანი?..

საქმე პროლეტარიატია...

საქმე გათქვეფაა...

უსახიერო სახეებაა...

უსახელო სახელწოდებაა...

ან რომელი ილია და დიმიტრი ყიფიანი წარუდგება გუშინდელ მოკლულს ან ციხეში ამომწყვდეულ ამხანაგ გოგიელას, მოთარეშე სედრაკას, ბრუციან არშაკას, საქო არაქელას, მათგან ჩვენი ხალხის რბევა და ქელვას...

შორეულისთვის...

ერთმანეთში ათქვეფისთვის...

ბედნიერები ვართ... ბედნიერები...!“ (კასრაძე, 1914თ: 12).

დავით კასრაძის თხზულებებში დასმულ პრობლემებს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. მისი მოღვაწეობის თითოეული წუთი ქართული კულტურისა და ლიტერატურის მსახურებაა, მისი აღმავლობისთვის ბრძოლაა. იბრძვის კლასიკური ლიტერატურული ტრადიციების დასაცავად. მისი სტრიქონებიდან თვალსაჩინოდ იმზირება მეფის რუსეთის ეპოქის უკუღმართობა, სულიერად დეგრადირებულ მოხელეთა თავნებობა, გადატაკებული საზოგადოების დუხჭირი ცხოვრება. საკუთარი მოღვაწეობის უმთავრეს ქვაკუთხედად მწერალი მიძინებული ეროვნული იმპულსების შერხევას მიიჩნევდა. ღრმად სწამდა, რომ ეს გახლდათ ერთადერთი გზა სწორი ორიენტირებისაკენ.

„არა, ქართველ ხალხს მეტად მძიმე და აუტანელი პირობები შეგვექმნა ცხოვრებასთან საბრძოლველად. ჩვენ ვერც კი შეგვიგნია და არა თუ შეგვიგნია, ვერც კი

გაგვითვალისწინებია ჩვენი ეროვნული უბედურობა, ჩვენი მდგომარეობის საშინელება. მთელი ერი თითქოს პირდია უფსკრულისკენ მიექანება, ჩვენ მოსიერედ გადმოვმდგარვართ და ხელის კვრით ვაქეზებთ, ყიჟინას ვცემთ, რა არის უფრო მალე ჩაგორდეს და დაიმსხვრეს მისი სახება!“² (კასრაძე, 1915ო: გვ. 4)

მეთოდი. გამოყენებულია კრიტიკული ანალიზის, აღწერითი, შედარებით-ტიპოლოგიური და სინთეზის მეთოდები.

შედეგები და მსჯელობა. ყალბ ღირებულებებში გახვეული დაბეჩავებულ-დაკნინებული სამშობლოს ბედზე მწუხარე მოღვაწის ტკივილია აღბეჭდილი წერილების ციკლში „ჩვენ და ცხოვრება“. ეს გაქსუებულ ჩინოვნიკთა მხილებისა და მოწოდებებით სავსე ვრცელი ტილოა, რომელიც მცირე ხანგამოშვებებით იბეჭდებოდა ჟურნალ „კლდის“ ფურცლებზე. ტექსტში „ჩვენ და ცხოვრება“ ხაზგასმულია ცარიელი, უსაფუძვლო თეორიების შექმნის გულუბრყვილობა, პრაქტიკის ნაკლებობა და ცხოვრების ფერხულში ჩასაბმელად მოუძაადებლობა. დიდი წინაპრების ნაყოფიერი საქმიანობის მაგალითების ჩვენებით ავტორი ცდილობს მკვეთრი ფერებით დაგვანახოს საზოგადოების ერთი ნაწილის მედიდურობის, მუქთახორობისა და უსაქმურობის მიღმა ქვეყანაში გამეფებული, საზოგადოების დაკნინება, ჩამორჩენა, სიღატაკე, მცონარობა. კომერციულ უწყებათა სავალალო მდგომარეობა, გირავნობებისა და სესხების გაუგონარი ზრდა. ბატონყმობის გაუქმების შედეგად შერყეული პარტიარქალური უზრუნველყოფილება. გარეგნული ევროპელობისა და ფსევდო ლიბერალური ფასეულობების ტყვეობა.

დ. კასრაძე წერს: „ჩვენ ხომ არასოდეს გვიზრუნია მომავალზე, არა თუ არ გვიზრუნია, არც კი გვიფიქრია თუ შესაძლებელ ამა თუ იმ ჭირისთვის რანაირად გაგვეცა პასუხი. ქართველი ერი ჭრიჭინაა, მხოლოდ დღიური ლუკმით კმაყოფილდება, დღესაც, ამ საშინელების დროს, ასე უდარდელ ერს არსადა ნახავთ, წარმოიდგინეთ, ჩვეულებრივ „მრავალ ჟამიერს“ ჯერაც იერი არ შეკრთომია! და ეს მაშინ, როდესაც ცხოვრება ანგარიშის გასწორებას გვთხოვს, ეს მაშინ, როდესაც შიმშილობა დღითი დღე ფრთასა ჰშლის! რა ვქნათ, რა ვიღონოთ? ამას არავინ გვეკითხებათ. ეს სიკვდილის განაჩენზე ხელის მოწერას ნიშნავს, აუთრთოლებრივ, გულგრილად. ერს მოჭირისუფლე არც კი უჩანს, რომ თვალი ვინმემ აუხილოს. თუ სხვა არავინ გვეშველება, ჩვენ თვითვე დავებმართოთ ერთმანეთს“.

(კასრაძე, 1915პ: 8)

წერილების ციკლში (კასრაძე, 1913გ: 7-9; კასრაძე, 1914ი: 5-8; კასრაძე, 1914კ: 6-7; კასრაძე, 1915ო: 2-4; კასრაძე, 1915პ: 8-10) „ჩვენ და ცხოვრება“ ავტორი მწუხარებას გამოთქვამს მეფის რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის შედეგებზე, რომლის მიხედვითაც საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა, გაუქმდა ბაგრატიონთა სამეფო ხელისუფლების უზენაესობა და ქვეყანა რუსეთის იმპერიის გუბერნიად გამოცხადდა. გაქრა საქართველოს სახელმწიფო საზღვრები, მოისპო მეფეთა დინასტიური მმართველობა, გაუქმდა საქართველოს ავტოკეფალია, გაუქმდა ადმინისტრაციული წესრიგი, ხაზინა. შეურაცხყოფდნენ ბატონიშვილებს, ართმევდნენ ქონებას და მამულებს, დაწესდა აუარებელი გადასახადები, თვალში საცემი გახდა მოხელეთა თავგასულობა, მოსახლეობის რბევა, აწიოკება, შეურაცხყოფა, რასაც მოჰყვა მოთმინების ძაფის გაწყვეტა და ამბოხებები მთიულეთში, კახეთში და სხვ.

ეს ამბოხებები ისევ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების შენარჩუნების და საუკუნეების მანძილზე წარმოებული თავდაცვითი პოლიტიკის გამოძახილი გახლდათ. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა დავით კასრაძის მსჯელობა. მისი აზრით, საქართველოს ისტორია მთელი მისი არსებობის მანძილზე მხოლოდ მოგერიებისა და თავდაცვის

² ტექსტი დაბეჭდილია „ქართული“-ს ფსევდონიმით.

აღწერილობას წარმოადგენს და არა დაპყრობითი პოლიტიკის მოთხოვნას. თავდაცვის ინსტიქტი ჩვენი ცხოვრების პერიპეტეიებზე ყოველთვის დაკავშირებული იყო ტერიტორიის შენარჩუნებასთან. ქართველი ერი, როგორც მიწათმოქმედი, მუდამ მას დასტრიალებდა თავზე, უიმისოდ ცხოვრება ვერ წარმოედგინა, დიდმა ბუნებამ გაუტკბო მამულის სიყვარული. სატრფოსავით გულზე მიიკრა და თითქმის ერთგვარ სიბრძავემდინაც კი მიიყვანა: ქართველს არა ჰსურს თავისი მამულის საზღვრებს იქით გადაიხედოს, გავიდ-გამოვიდეს მეზობლებში, როგორც ამას სჩადიოდნენ ფინიკიელები, ებრაელობა ან სომხები.

სულ სხვაა ქართველი. რაკილა მამულის სიტკბოება იგემა, იგი ჰნეტარებს, ეჩვევა უზრუნველყოფას, კარჩაკეტილ ცხოვრებას, იგი უაღრესად თავისუფალია, არა ზვიადობს, ომს ომის გულისთვის არავის უცხადებს, როგორც ამას სჩადიოდნენ გულადი ასურელები. არავის ყმობა არა ჰსურს, არც არავის ეყმება და თუ ვინმე გაკადნიერდება და მის მამულს ხელს შეახებს, სადაც მის მამა-პაპის გუთანს კვალი გაუვლია და თვით ღმერთების კერა გაუჩაღებია, იგი საშინელია ამ დროს, ცოცხალი თავით მას არავის არ დაანებებს! აი, ამითი აიხსნება, რომ მთელ ისტორიულ სარბიელზე ქართველი ერის ინდივიდუალობა შეუძლებელია უტერიტორიოდ წარმოვიდგინოთ და ტერიტორია კიდევ, ე.ი. ჩვენი ქვეყანა უქართველებოდ. (კასრამე, 1914ი: 5)

პარიზსა და ბრიუსელში აქტიური მოღვაწეობის შედეგად სამშობლოში დაბრუნებული მწერლის შესახებ იუწყებოდა იმ დროინდელი პრესა. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“³ იტყობინებოდა, რომ მწერალი დ. კასრამე ბრიუსელიდან ჩამოვიდა. ამჟამად თბილისშია და ქართულ ჟურნალ-გაზეთებში აპირებს მუშაობას. (თეატრი და ცხოვრება, 1914ბ: 16)

როგორც ჩანს „თეატრი და ცხოვრება“ ყურადღებით ადევნებს თვალს დავით კასრამის თითოეულ ნაბიჯს და მოგვიანებით კვლავაც იგი აუწყებს საზოგადოებას ქართველ ქალთა გიმნაზიის უმაღლეს კლასებში მისი მიწვევის ფაქტს ქართული ენის მასწავლებლად. (თეატრი და ცხოვრება, 1916: 15)

საკუთარ შემოქმედებაში, მწერლობის გვერდით, დ. კასრამე საგანგებო ადგილს უთმობს თეატრალურ ცხოვრებას. იწყება საგაზეთო პუბლიკაციების სერია, რომლებშიც ავტორი მკაცრი კრიტიკოსის მხერით ადევნებს თვალს ამ სფეროში მიმდინარე მოვლენებს. არ პატიობს მცირე ნიუანსობრივ შეცდომებსაც კი, ხოლო ზოგჯერ შესამჩნევია კარგი სპექტაკლის ნახვით აღძრული დადებითი ემოცია. შესაძლოა ამ წლებში დაგროვილი გამოცდილების შედეგი გახლდათ მოგვიანებით, 30-იანი წლების ბოლოს, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში მოღვაწეობის გაგრძელებაც და თეატრის ისტორიის შესახებ ლექციების კურსის გაძლოაც საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტში.

დავით კასრამე ჯერ კიდევ 1914 წელს წერდა თეატრის შესახებ: „მრავალი საკუროიზო ჰხდება ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ თუ ვისმეს ჩემპიონობა ჰსურს დაიკვებოს რამეში, ეს ისევ ჩვენი სათეატრო სეზონი გახლავთ. ასეთი უფერული რეპერტუარი არა ვგონებ როდისმე ჰღირსებოდეს ჩვენს მელპომენეს. ამ მხრივ იმისი ბედი თითქმის საფლავის კარამდე მივიდა. ან რა არის, თუ არა სიკვდილი, როდესაც იგი ძველის ძველს

3 „თეატრი და ცხოვრება“ - ყოველკვირეული თეატრალურ-ლიტერატურული ჟურნალი. გამოდიოდა თბილისში 1910, 1914-1920, 1923-1926 წლებში. მისი დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი იყო იოსებ იმედაშვილი. იბეჭდებოდა პიესები, სტატიები თეატრის ისტორიისა და თეორიის საკითხებზე, მსახიობთა აღზრდაზე, რეჟისორის ოსტატობაზე, მსახიობისა და მაყურებლის ურთიერთობაზე, რეცენზიები სპექტაკლებზე, აგრეთვე ლიტერატურული და იუმორისტული ხასიათის წერილები და კარიკატურები.

თახჩებში სძებნის ყოვლად უვარგის პიესებს, რომელთაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენს ცხოვრებაში.“⁴ (კასრაძე, 1914ჯ: 16)

დ. კასრაძე შეუვალა 1913 წელს ქართველ არტისტთა ამხანაგობის მიერ დადგმული „ოტელოს“ მისამართით. მისი სიტყვით - სამწუხაროა, რომ ტრაგედია არა თუ განსახიერბას, არამედ ოტელოს აჩრდილსაც ხეირიანად ვერ გვიდგენდა.⁵ (კასრაძე, 1913ა: 15) ავტორი უკმაყოფილოა მსახიობების თამაშით, თვლის, რომ ბოლომდე დახარჯვის შემთხვევაში მათ გაცილებით უკეთესი შედეგის დადება შეუძლიათ.

ცენტრალური ფიგურა ოტელო (ვ. გუნია) ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ მთელი ძალ-ღონე გამოეყენებინა, მაგრამ მაინც ვერ აღწევდა საწადელს.

ოტელოზე არა ნაკლებ საყურადღებო ფიგურაა იაგო (კ. მესხი⁶). სამწუხაროდ, ვერც ეს ამაღლდა შექსპირის მიერ დახატულ იაგომდე. კრიტიკოსის აზრით, ჯერ კიდევ ბევრად გამოუცდელი იყო დეზდემონას როლის შემსრულებელი ახალგაზრდა მსახიობი და ა.შ.

მკაცრად არის შეფასებული 1915 წლის 8 აპრილს სახალხო სახლში გამართული სპექტაკლი „მედია“, თუმცა ეს სიმკაცრე უკვალოდ ქრება, როდესაც მსჯელობა ეხება მთავარი როლის შემსრულებლის სასცენო ოსტატობას.

„ბევრი რამ გამეგონა ქ. ჩხეიძის⁷ მედიის შესახება. ამ მსახიობის მადლიან ნიჭში ეჭვი არასოდეს არ შემიტანია და ამიტომ უფრო ხალისიანად წაველ 8 აპრილს სახალხო სახლში „მედეას“ სანახავად. აქვე უნდა შევნიშნო, რომ პიესა მაინც და მაინც სახარბიელოს არას წარმოადგენს. იგი ყალბ ეფექტებზეა დამყარებული. სცენიურ ხელოვნებას ბევრად ვერ აკმაყოფილებს, არაბუნებრივობა, ტიპების ფერმკრთალობა თავისთავად ჰგულისხმობს, რომ პიესა მარცხით უნდა გათავდეს...“

მართლაც ძლიერი ხელოვანი უნდა იყოს მსახიობი, რომ ამ ბავშვურ საჩხირკედლო პიესას სული ჩაუდგას, ამაღლდეს და აღგვამაღლოს ხელოვნების თეთრ თოვლ მწვერვალამდე. და ეს ხელოვნება, ასეთი ჯადოსნობა შეძლო ქ-ნმა ჩხეიძემ, მან გადალახა სიმძნელის ყოველგვარი ზღუდე და ავტორის სისუსტე უზადლო ნიჭის წყალობით ერთი ათად გამოისყიდა“.⁸ (კასრაძე, 1915ჟ: 14)

უნდა შევნიშნოთ, რომ ნ. ჩხეიძეს სხვა დროსაც დაუმსახურებია მკაცრი კრიტიკოსის ქება. საილუსტრაციოდ შეიძლება დასახელდეს 1915 წლის 13 იანვარს დადგმული პიესა „მარგარიტა გოტიე“, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის საფრანგეთის ცხოვრებას ეხება. კასრაძე გულწრფელი აღტაცებით წერს: „ცენტრალური ფიგურა „მარგარიტა“ ფარდის ახდისთანავე იპყრობს მაყურებლის ყურადღებას. ქ-ნი ჩხეიძის ასული გამოვიდა ამ როლში და, სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, დიდის ხელოვნებითაც შეასრულა. ბუნებრივობა, სიმარტივე და პსიხოლოგიური სინამდვილე, აი ის ღირსებანი და აუცილებელი ფერადები, რომლითაც მან განასახიერა მარგარიტა. ისეთი სცენები, სადაც მსახიობი სულიერ განცდით უნდა სუნთქავდეს, ქ-ნმა ჩხეიძის ასულმა ზედმიწევნით შესძლო, უჭარბელად ასურათებდა,

⁴ მასალა დაბეჭდილია „დიოგენ“-ის ფსევდონიმით.

⁵ მასალა დაბეჭდილია „ქართლელი“-ს ფსევდონიმით.

⁶ **იაკობ (კოტე) მესხი** - აქვეყნებდა წერილებს ფრანგულ თეატრზე. 1874 წლიდან მონაწილეობდა ქუთაისის სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში. 1879 წელს მიიწვიეს თბილისის მუდმივი პროფესიული დასის მსახიობად. ქუთაისის პროფესიული თეატრის დამაარსებელი, ხელმძღვანელი (1885-1894).

⁷ **ნინო (ნუცა) პლატონის ასული ჩხეიძე** - მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. სამსახიობო „სკოლა“ გაიარა ხელოვნების ისეთ მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ კოტე მესხი და ლადო ალექსი-მესხიშვილი. მისი დებიუტი გაიმართა ქუთაისის თეატრში. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ქუთაისისა და რუსთაველის თეატრების შემოქმედებით ცხოვრებაში. შეასრულა 300-მდე როლი. დაჯილდოვებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშის ორდენებითა და მედლებით.

⁸ მასალა დაბეჭდილია „დიოგენ“-ს ფსევდონიმით.

თან და თანობით იზრდებოდა, ვიდრე უკანასკნელ მოქმედების ფარდა არ დაეშვა. განსაკუთრებით მოგვეწონა მესამე მოქმედებაში და ბოლო მოქმედება, როგორც აპოთეოზი საუცხოვო ხელოვნებისა.“⁹ (კასრაძე, 1915თ: 15)

დავით კასრაძე მარილიანად დადგმულ პიესად აფასებს იმავე წლის 28 აპრილს ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ სენკევიჩის პიესის „ვიდრე ხვალ“ მიხედვით დადგმულ წარმოდგენას. საგაზეთო მასალაში შეფასებულია: ა. იმედაშვილის¹⁰, ტ. აბაშიძის¹¹, ეფ. მესხის¹² და სხვათა სასცენო ოსტატობის ნიუანსები. განსაკუთრებული ხაზგასმით გახლავთ მოხსენიებული მრავალფეროვანი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა მსახიობი ჭიაურელი¹³, რომელიც დავით კასრაძის შეფასებით „უტყუარი ხელოვანია“.¹⁴ (კასრაძე, 1915ზ: 15)

დ. კასრაძე აქტიურად გახლდათ ჩართული მშობლიური ქალაქის ცხინვალის თეატრალურ ცხოვრებაშიც. XX საუკუნის პირველ წლებში მოვლენები აქ საკმაოდ საინტერესოდ ვითარდება. 1908 წელს საგანგებოდ არჩეულმა კრებამ, რომელიც ცხინვალის მაშინდელი ინტელიგენციისგან დაკომპლექტდა, იმსჯელა ადგილობრივი სასცენო ხელოვნების პრობლემების შესახებ და „უკამათოდ საჭიროდ სცნო საერთო კულტურული მოღვაწეობა“. (ლაშხია & მეშვილდე, 1980: 28) შეიძინეს მიწის ნაკვეთი ლიახვის მარცხენა სანაპიროზე და პირითადად შემოწირულობების ხარჯზე თეატრის მშენებლობაც დაიწყო. სასიამოვნოა იმის აღნიშვნაც, რომ ახალი თავშესაფარი ცხინვალის სცენისმოყვარეთა მუდმივი დასისტვის მზად იყო უკვე მომდევნო 1909 წლისთვის.

ია ეკალაძის¹⁵ გარდა ცხინვალის სცენისმოყვარეთა საქმიანობას სათანადოდ აშუქებდა დავით კასრაძე. სწორედ მან წამოწია პირველად ერთ-ერთი ცხინვალელი

⁹ მასალა დაბეჭდილია „Candide“-ს ფსევდონიმით.

¹⁰ **ალექსანდრე იმედაშვილი** - სასცენო მოღვაწეობა დაიწყო თბილისში 1900 წელს. მუშაობდა თბილისის, ბათუმის, ქუთაისის და სხვა თეატრებში. მოღვაწეობდა რუსთაველის სახელობის, კ. მარჯანიშვილის სახელობის და ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრებში. ითვლებოდა ოტელოს (შექსპირის "ოტელო") როლის საუკეთესო შემსრულებელად რევოლუციამდელ ქართულ თეატრში. სხვადასხვა წლებში ხელმძღვანელობდა ბათუმის, ჭიათურის, ქუთაისისა და სხვა თეატრებს, მსახიობთა დასებს. 1932 წლიდან საქართველოს სახალხო არტისტი. დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის ორდენით.

¹¹ **ტასო (ანასტასია) ვასილის ასული აბაშიძე** - მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი (1943). მისი დებიუტი შედგა 1899 წელს. 1921-1925 წლებში მოღვაწეობდა რუსთაველის სახელობის თეატრში, ჭიათურის თეატრში (1926-1927), მარჯანიშვილის სახელობის თეატრში (1933-1948).

¹² **ეგვია მესხი** - თბილისის პროფესიულ თეატრში პირველად გამოვიდა სცენაზე 1882 წლის 13 იანვარს. ამავე წელს მონაწილეობა მიიღო კოტე ყიფიანის ბენეფისში. განსახიერა ორასამდე როლი. 1910 წელს მიიწვიეს თბილისის დრამატულ თეატრში. მოღვაწეობდა ქუთაისისა და ბათუმის თეატრებში. 1922 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება.

¹³ **მიხეილ ჭიაურელი** - 1915 წლიდან მუშაობდა თბილისის, ქუთაისის და ბათუმის თეატრებში, როგორც მსახიობი, რეჟისორი და მხატვარი. 1921 წელს თბილისში დააარსა სატირის თეატრი. 1925-1927 წლებში იყო მუშათა თეატრისა და "წითელი თეატრის" რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. მიღებული ჰქონდა სსრკ სახელმწიფო პრემია 1941, 1943, 1946, 1947, 1950 წლებში, კარლოვი-ვარის VII საერთაშორისო კინოფესტივალის დიდი პრიზი 1952 წელს, კარლოვი-ვარის V საერთაშორისო კინოფესტივალის დიდი პრიზი 1950 წელს, ვენეციის VII საერთაშორისო კინოფესტივალის ოქროს მედალი და საპატიო დიპლომი 1946 წელს, სსრკ სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა 1948 წელს. დაჯილდოებული იყო ჩეხოსლოვაკიის "თეთრი ლომის" II ხარისხის ორდენით, ლენინის, წითელი ვარსკვლავის და შრომის წითელი დროშის ორდენებით.

¹⁴ მასალა დაბეჭდილია „დიოგენი“-ს ფსევდონიმით.

¹⁵ **იაკობ ცინცაძე (ია ეკალაძე)** - 1911 წელს დაამთავრა ყაზანის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. იმავე წელს დაინიშნა გორის ვაჟთა გიმნაზიაში ქართული ენის მასწავლებლად. 1912

სცენოსმოყვარის ჰაიკანუმ ოვანოვას¹⁶ სახელი და საზოგადოებას „სახალხო გაზეთის“ ფურცლებიდან ამცნო: „ეს ახალგაზრდა ქალი სცენის მშვენიერად შეიქმნება, თუკი ნიჭს უკვალოდ არ ჩააქრობს...“ (სახალხო გაზეთი, 1913)

სხვაგვარი სიტუაციაა ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების იძულებით დამყარების შემდეგ. ქრონოლოგიურად ეს სურათი შემდეგნაირად გამოიყურება: ამ პერიოდის ცხინვალში რამდენიმე დრამატული წრე მუშაობს. ცხინვალს აღარ აქვს თეატრის შენობა¹⁷, ერთი წრე 1926 წელს ჩამოუყალიბებია გრ. მეზურნუთოვს - „სამხრეთ ოსეთის კულტპოლიტ-საგანმანათლებლო განყოფილებასთან არსებული დრამატული წრე“. წრეში შედიოდა იმდროინდელი ცხინვალის სცენოსმოყვარე ახალგაზრდობა. დასმა 1929 წლამდე იარსება. გ. მეზურნუთოვი ამ დასთან ძირითადად, იმ დროისთვის, თანამედროვე შინაარსის პიესებს დგამდა. მის დადგმებში, როგორც ვ. კასრაძე წერს: „იგრძნობოდა პროფესიონალი რეჟისორის ხელი და მაღალი იდეურობა“. (საბჭოთა ოსეთი, 1962) ამ წრეს სხვადასხვა დროს წარმოუდგენია: ტ. რამიშვილის „გაჭირვების ტალკვესი“, პ. ირეთელის „ქრისტიანი“, ნ. შიუკაშვილის „სულელი“, ს. წერეთლის „მაღაია“ (ლაშხია & მეშვილდე, 1980: 45) და სხვ.

ქართული ლიტერატურა ყოველთვის მკვიდრ საფუძველს წარმოადგენდა ოსური სასცენო ხელოვნების განვითარებისთვის. ამ სიტყვების თქმის საფუძველს გვაძლევს 1923 წლის 27 დეკემბერს ოსური დრამატული წრის მიერ ცხინვალში ა. ცაგარელის პიესის „ციმბირელი“ დადგმის ფაქტი. ამ საკითხთან დაკავშირებით ცხინვალის ოსურენოვანი გაზეთი „Хурзарин“ წერდა: „27 декабря прошлого года в местном театре был осетинский спектакль. Ставили пьесу „Цимбирели“ А. Цагарели. Артисты и любители с душой принялись за устройство осетинских спектаклей. Этот спектакль говорит за то, что дело устройства осетинских спектаклей улучшается. Хорошо играли старые любители Илья Гочиев (Петуа), Соня Джатиева, Дзодзе, Джикаев, Вера Ханикаева. Играли и новые любители, но видно было, что они ещё не так опытни. Надеемся, что артисты в дальнейшем ещё дружнее возмутся за дело. Для этого есть все возможности.“ (Хурзарин, 1924)

როგორც ვხედავთ, ოსური სასცენო ხელოვნების განვითარებისთვის ამ პერიოდის ცხინვალში უკვე ყოველგვარი პირობა არსებობს. ოსი მსახიობები ძალებს არ ზოგავენ, ეწაფებიან ქართულ ლიტერატურას და სცენიდან ემსახურებიან საკუთარი კულტურული განვითარების წინსვლას. სხვადასხვა დროს ოსური დრამატული წრის სცენაზე მოღვაწეობდნენ: ს. აბაევი, ა. ბესტაევი, ი. გოჩიევი, ვ. ჯატიევი, გ. კუსრაევი, მ. ურუსოვი და სხვ.

ბუნებრივია, ცხინვალში გამართული წარმოდგენების შესახებ არანაკლებ აქტიურობდა ქართული პრესა. განსაკუთრებით: ი. ეკალაძე (ამირანი, 1908), დ. კასრაძე (სახალხო გაზეთი, 1912), ნ. გურული (თეატრი და ცხოვრება, 1914) და სხვები.

როგორც ჩვენს ხელთ არსებული მასალები¹⁸ მიუთითებს, ჯერ კიდევ ორმოციანი წლების დამდეგამდე აქა-იქ, გამონაკლისის გარდა, ცხინვალის სახელმწიფო თეატრის რეპერტუარი საშუალო ლიტერატურული ღირებულების პროდუქციით იკვებება.

წელს მასწავლებლად მიიწვიეს ქუთაისში. იყო გაზეთ "ქართლის" (1912-1913) და გაზეთ "სამშობლოს" (1915-1916) რედაქტორ-გამომცემელი. აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ პერიოდულ პრესაში, „ია ეკალაძის“ გარდა იყენებდა ფსევდონიმს „თომანთ კობა“.

¹⁶ ჰაიკანუმ ოვანოვა მუშაობდა ცხინვალის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად და მრავალის წლის მანძილზე ემსახურებოდა ქართულ სცენას. განასახიერა არა ერთი საპასუხისმგებლო როლი. იგი იყო შესანიშნავი, კარგი ხმისა და გარეგნობის მქონე მსახიობი. განსაკუთრებული ოსტატობით ასრულებდა როგორც ლირიკული, ისე დრამატული ხასიათის როლებს;

¹⁷ იგი 1927 წელს აღებულ იქნა ტირიფონის არხის გაყვანის გამო.

¹⁸ ცხინვალის ქართული თეატრის შესახებ დამატებით იხ. (მღებრიშვილი, 2019: 282).

„...იქნება წარმოდგენილი საცდელი სპექტაკლების იქით ქართულმა კოლექტივმა სეზონში სხვა რამ სახარბიელო მისცა ცხინვალის საზოგადოებას? სეზონის განმავლობაში ცხინვალის სახელმწიფო თეატრის ქართულ სექტორს დაუდგამს ტ. კრიხელის¹⁹ „გმირი“, გ. ბერძენიშვილის „ტირიფის ქვეშ“, ს. მთვარაძის „საქორწინო მზადება“, აღუდგენია ა. წერეთლის „კინტო“, გ. ნახუცრიშვილის და ბ. გამრეკელის „ნაცარქექია“, ი. ჯინჯიხაშვილის „პროფესორი მოროზოვი“. განა მყარ რეპერტუარს ეს უნდა შეადგენდეს ისეთ საპასუხისმგებლო უბნის თეატრში, როგრიც ცხინვალის სახელმწიფო თეატრია“ - საფუძვლიანად ბრძანებდა დავით კასრაძე გაზ. „საბჭოთა ოსეთის“ (საბჭოთა ოსეთი, 1946) ფურცლებიდან.

როდესაც ვსაუბრობთ ცხინვალის თეატრის შესახებ დაწერილ მასალებზე, ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ცხინვალის მკვიდრის, ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ვახტანგ კასრაძის ღვაწლი, რომელიც მას მიუძღვის, როგორც ცხინვალში თეატრალური ხელოვნების განვითარებისთვის თავდაუზოგავ მებრძოლს. ვ. კასრაძის საგაზეთო წერილებში ნათლად იკვეთება ხელოვნების სფეროში მისი მოღვაწეობის პერიპეტიები. იმ ადამიანებთან ურთიერთობები, რომელიც უშუალოდ იყო დაკავშირებული თეატრთან. მისი თქმით, ცხინვალს ახსოვს ადამიანთა სახეები, რომლებმაც ფასდაუდებელი ღვაწლი დასდეს ქალაქის კულტურის განვითარების საქმეს. ისინი არ ზოგავდნენ ენერგიას და შემართებით უდგნენ წინ ყოველგვარ დაბრკოლებას. დასაწყისში კი უმთავრესი დაბრკოლება მიანც თეატრის უქონლობა, პროფესიონალ მსახიობთა მკვეთრი ნაკლებობაა.

ვახტანგ კასრაძის წერილები და რეცენზიები ცხინვალის თეატრის ერთგვარი ისტორიაა. ამ ნაწერებში ასახულია ქართული დასის ჩამოყალიბების გზა, თეატრალური ცხოვრების მაჯისცემა, მკითხველის წარმოდგენებში ცოცხლდებიან მაშინდელი თეატრის მოყვარულთა თუ პროფესიონალ მსახიობთა სახეები. ვ. კასრაძე მთლიანად არის ჩანთქმული ამ სამყაროში. მისი მხედველობის არემია ყოველი ნიუანსი, თითოეული მსახიობის შესაძლებლობათა ყოველი მისხალი. სპექტაკლები შეფასებულია ყოველმხრივ, ყოველი დეტალის გათვალისწინებით.

1946 წლის 16 ივლისს გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ საგაზეთო მასალაში „კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის დათვალიერება“ (კასრაძე, 1946ბ) დავით კასრაძე მიუთითებდა ცხინვალის თეატრის ქართული დასის იმ ნაკლოვანებათა შესახებ, რომლებიც დაადგინა და მზის სინათლეზე გამოიტანა თეატრის შემოქმედებითი უნარიანობის შემმოწმებელმა კომისიამ ცხინვალის სახელმწიფო თეატრის 1946 წლის დათვალიერების შემდგომ.

ვახტანგ კასრაძე, როგორც ცხინვალის თეატრის მოამაგე და ქომაგი, ბუნებრივია, უყურადღებოდ ვერ დატოვებდა ამ ფაქტს. აღნიშნული მოვლენისადმი მიძღვნილ პუბლიკაციაში (კასრაძე, 1946გ) ავტორი დეტალურად განიხილავს იმ ჩრდილოვან მხარეებს, რომლებმაც გარკვეულწილად განაპირობეს ცხინვალის ქართული დასის წარუმატებლობა. ხაზს უსვამს თითოეული მსახიობის მიერ შესრულებულ როლს,

¹⁹ ტობა კრიხელი - დაიბადა ცხინვალში 1906 წელს ღარიბი ხელოსნის იაკობ კრიხელის ოჯახში. 1929 წლიდან სწავლას იწყებს თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრთან არსებულ სტუდიაში, 1932 წლამდე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობია. მომდევნო წლებში მუშაობს ცხინვალის „ღარიბკომის“ კლუბის რეჟისორად, მოგვიანებით ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობად, რეჟისორის ასისტენტად. განსაკუთრებული აღიარება ტ. კრიხელმა კ. ხეთაგუროვის სახელობის ცხინვალის სახელმწიფო თეატრში გადასვლის შემდეგ მოიპოვა. იყო ცხინვალის მშრომელთა დეპუტატების პირველი და მეორე მოწვევის საქალაქო საბჭოს დეპუტატი;

არგუმენტირებულად წარმოაჩენს მათ რეალურ შესაძლებლობებს და კონკრეტულ შემთხვევებში მათთვის შერჩეული როლების არაადეკვატურობას.

საგულისხმოა, რომ ვახტანგ კასრაძის მიერ გამოთქმულ საქმიან შენიშვნებს ამაოდ არ ჩაუვლია. როგორც ჩანს, ჩვენს მიერ ზემოთ ხსენებულ მტკივნეულ ეპიზოდს ქართული დასის წევრები გაორმაგებული პასუხისმგებლობით ეკიდებიან. ამიტომაც იმავე 1946 წლის მომდევნო თვეში მორიგ საგაზეთო მასალას დავით კასრაძე სრულიად განსხვავებული პათოსით იწყებს და ქების სიტყვებსაც არ იშურებს ცხინვალის ქართული თეატრის მისამართით: „სტალინირის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის ქართულმა კოლექტივმა მორიგ პრემიერად სანდრო შანშიაშვილის დიდად გახმაურებული პიესა „ხევისბერი გოჩა“ აირჩია. ასეთი არჩევანი სეზონის დახურვის წინ, განსაკუთრებით თეატრალური დათვალიერებისას ჩავარდნის შემდეგ, სწორედ დროული იყო. კოლექტივი ან მთლად უნდა დამარცხებულიყო, ანდა საზოგადოებისთვის უნდა ეჩვენებინა თავისი ცხოველმყოფელობა. ამ არჩევანის წინაშე იდგა ქართული კოლექტივი და დამსწრე საზოგადოებაც ერთგვარი მსაჯულის სახით ეწვია თეატრს.

უნდა ითქვას, რომ სპექტაკლმა სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. ამით გამართლდა ჩვენს მიერ გამოთქმული აზრი კოლექტივის შემადგენლობის შესახებ, როდესაც მსახიობთა ინდივიდუალურ ნიჭში დაექვება არც კი გვინდოდა, და თუ კოლექტივს, ღირსეული ხელმძღვანელობა ეყოლებოდა, გამარჯვებას მოიპოვებდა. ასეც მოხდა. კოლექტივს უმუშავნია, ამოქმედებულა ხელმძღვანელობაც და დაცემულ რეპუტაციასაც მოუხდა საპატიო აღდგენა. აქედან ცხადი უნდა იყოს ხელმძღვანელობისთვის, რა მნიშვნელობა აქვს დაუღალავ შრომას და ერთსულოვნებას. ბეჯითად მომუშავე ხარი ხშირად მეტს აკეთებს, ვიდრე ფრთაშესხმული მერანი. მაღალნიჭიერება უშრომოდ ჩაკვდება, ხოლო შრომით და მუყაითობით დაბალი ნიჭი მაღალ მაჩვენებლებს მოგვცემს თავის პროდუქციისას...“ (კასრაძე, 1946ა)

XX საუკუნის პირველი წლებიდანვე დავით კასრაძე აქტიურ სამოღვაწეო ასპარეზოზეა. თანამშრომლობს არაერთი პერიოდული გამოცემის რედაქციასთან. მისი წერილები იბეჭდება ისეთ ჟურნალ-გაზეთებში, როგორებიცაა: „კლდე“, „საქართველო“, „მნათობი“, „სახალხო გაზეთი“, „ჯეჯილი“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, „სინათლე“ და სხვ. მასალების ნაწილი დაბეჭდილია ავტორის ხელმოწერით, ხოლო ნაწილი ფსევდონიმებით: „ქართლელი“, „დიოგენი“, „X“, „კანდიდი“, „დე-კა“, „კენტი“ და ა.შ.

დ. კასრაძე აქტიურად არის ჩართული ყოველდღიურ ცხოვრებაში, მკაცრი კრიტიკოსის თვალთა აკვირდება მოვლენებს, ამხელს საზოგადოებრივი ყოფიერების ნაკლოვან მხარეებს და ეძებს გამოსავალ გზებს. ნაკლოვანებათა გვერდით, შეუმჩნეველი არ რჩება საგულისხმო ლიტერატურული პროცესების ყოველდღიურობაც და აღფრთოვანებით მოუთხრობს მკითხველს თითოეული პოზიტიური ნოტის შესახებ. მაგალითად, მწერალი შესანიშნავს და გამომამფხიზლებელს უწოდებს პროფ. ივანე ჯავახიშვილის მიერ საქართველოს ისტორიაში წაკითხულ ლექციას. მისი სიტყვით რომ ვთქვათ, ეს ჩვენს მიმდინარე ცხოვრებაში ხაზგასასმელია, როგორც ერთი უშესანიშნავესი გამომამფხიზლებელი საყვირის მახილი. საქართველოს უცხოვრია, ჰქონია წარსული, ჩვენ მას არ ვიცნობთ და „რა გვეშველების“ ვყვირით. დღეს, როდესაც მსოფლიო რუქა ვინ იცის, რა სახით არ უნდა შემუშავდეს, ქართველი ერი თავის თავზე არ ზრუნავს, იგი გასაოცარს იდილიას ეძლევა, რომანტიულ უზრუნველყოფილებას და ოდნავი სურვილიც არ ეტყობა, გონება მოიკრიბოს და ჯეროვნად მომზადებული შეხვდეს მსოფლიო ქარიშხლის მიერ მოსალოდნელ ცვალებადობას. მაღლობის ღირსია ბატონი ი. ჯავახიშვილი ასეთი მნიშვნელოვანი ლექციის წაკითხვისთვის, მაგრამ უფრო მეტი მაღლობის ღირსი იქნება, თუ აიღებს და რაც შეიძლება მოკლე ხანში სახელმძღვანელოდ გამოსცემს. (კასრაძე, 1915ლ: 13)

დ. კასრაძე საინტერესო შეფასებას აძლევს ს. რ. გორგაძის „საქართველოს ისტორიის“ მოკლე სისტემატიურ კურსს მოზრდილთათვის.²⁰ (კასრაძე, 1915ა: 14) გამოთქმული ზოგიერთი შენიშვნის მიუხედავად, ეს წვრილმანები ჩრდილს არ აყენებს ამ სასარგებლო წიგნს. ავტორი გამოთქვამს გულწრფელ სურვილს ბატონ გორგაძეს გამოეჩინოს მეტი მხნეობა, რათა საზოგადოებამ დროულად იხილოს წარმოდგენილი ნაშრომის გაგრძელება - წიგნის მეორე და მესამე ნაწილი.

ასეთივე, უაღრესად მნიშვნელოვან და ურთულეს საკითხად მიიჩნევს დავით კასრაძე აღზრდის საკითხს. ამ მიმართულებით განუზომელია ღვაწლი, რაც საუკუნეების მანძილზე აქვს გაწეული ქართველ საზოგადოებრიობას. აღზრდის საკითხებზე მსჯელობისას მწერალი ეყრდნობა ჩვენი დიდი წინაპრების მიერ ჩაყრილ მძლავრ ფუნდამენტს, რომელსაც ემყარება თანამედროვე გამოცდილება.

„აღზრდის საკითხში არა ნაკლები წილი გვიდევს ქართველობასაც. ჯერ კიდევ X-XII საუკ. ათონის წმინდა მონანი ზრუნავდნენ ამ საკითხის გასარკვევად. აქედან მოკიდებული რუსეთის შეერთებამდე ჩვენ გვხვდებიან ისეთი ნათელი პიროვნებანი, როგორც არსენი იყალთოელი, გაიოზი, ანტონი და მრავალნი სხვანი, რომელთა სიტყვით იფურჩქნებოდა ღვთისმეტყველება, ფილოსოფია, იურისპრუდენცია, რაშიც თვითონ მეფენიც და ბატონიშვილებიც ეხმარებოდნენ არჩილისა, თეიმურაზისა, ვახტანგისა თუ ვახუშტის სახით. სამეფო საგვარეულო და სასულიერო წოდება ხელი-ხელ ჩართულნი ეწეოდნენ ერის აღსაზრდელად, ასამაღლებლად. მე-XIX საუკ. აღსანიშნავი: გაბრიელ ეპისკოპოზი, რომლის ქადაგებანი მემუარების სახით რუსულადაც არის ნათარგმნი და კარგა ხანს სახელმძღვანელოდ იხმარებოდა ახალგაზრდობის გასაწვრთნელად და აღსაზრდელად...“²¹ (კასრაძე, 1913ბ: 13)

ხსენებული ტექსტი ეძღვნება სასულიერო სემინარიის ცნობილ და ღვაწლმოსილ პედაგოგს ნიკ. მახათაძეს²², რომელიც თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში იღვწოდა ამ სასწავლებელში. ათწლეულების განმავლობაში მხცოვანმა პედაგოგმა გარშემომყოფთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ვას. ბარნოვის შეფასებით იგი „პედაგოგის იდეალი“ (კასრაძე, 1913ბ: 13)²³ გახლდათ. ასეთ მაღალ შეფასებას სრულად იზიარებდა სემინარიის რექტორი და საიუბილეო ღონისძიებაზე შეკრებილი საზოგადოება.

დავით კასრაძის მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები ქართული პუბლიცისტიკის მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს. მათში გაშუქებულია საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთი აქტუალური უბანი. ავტორი ოპერატიული, მიუკერძოებელი და ობიექტური არბიტრის პოზიციიდან წარმოადგენს ყოველდღიური ცხოვრების საგულისხმო შუქ-ჩრდილებს, ცდილობს მხედველობიდან არ გამოიჩინოს ეროვნული, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის, ლიტერატურულ-კულტურული და სხვა აქტუალური პრობლემები. დ. კასრაძე ჩვეული ენერგიულობით ადევნებს თვალს სასულიერო წრის მოღვაწეთა საქმიანობის პერიპეტიებსაც და მკითხველის სამსჯავროზე გამოდის ისეთი პუბლიცისტური ტექსტები, როგორებიცაა: „ცოცხალი ლემები“²⁴ (კასრაძე, 1914ლ: 11),

²⁰ მასალა დაბეჭდილია „დიოგენი“-ს ფსევდონიმით.

²¹ მასალა იბეჭდება „ქართლელი“-ს ფსევდონიმით.

²² **ნ. დ. მახათაძე** - 1891 წლიდან ერთდროულად გახლდათ სასულიერო სემინარიის, იუნკერთა სამხედრო სასწავლებლის, დედათა ეპარქიალური სასწავლებლის და ქალთა მეხუთე გიმნაზიის მასწავლებელი. ახალი საუკუნის დასაწყისში იყო სასულიერო სემინარიის ინსპექტორი, მათემატიკის და ლოდიკის მასწავლებელი. 1911 წლის 8 ნოემბერს დაინიშნა თბილისის მეორე კომერციული სასწავლებლის დირექტორად.

²³ მასალა იბეჭდება „ქართლელი“-ს ფსევდონიმით.

²⁴ მასალა იბეჭდება „ქართლელი“-ს ფსევდონიმით.

„ჯვარცმული ჭეშმარიტება“²⁵ (კასრაძე, 1913დ: 2), „შეკრულ ყუთებთან“²⁶ (კასრაძე, 1915წ: 8) და სხვ.

დავით კასრაძის პუბლიკაციებიდან გვსურს გამოვარჩიოთ ერთი ტექსტი, რომელიც ქართველი ხალხისთვის პირველი მაისის²⁷ დღესასწაულად ქცევის მოწოდებას შეიცავს. ავტორს ღრმად სწამს, რომ ეს დღე უაღრესად მნიშვნელოვანია ქართველი ერის ისტორიაში. წარმოსახვით სამყაროში ამოგზავრებს მკითხველს, იმ საქართველოში, სადაც წმინდა კეთილმსახური მეფის თამარის ხსენების დღე აღინიშნება: ღამის თევით, ლხინით, ჭიდაობით, აშულთა შეჯიბრებით, ცეკვით, თამაშით, ქართველ მღვდელმსახურთა წირვა-პარაკლისით და სხვა საზეიმო ღონისძიებებით.

„პირველ მაისს მუშათა კლასიც დღესასწაულობს თავის ძალღონის სიდიადეს, მრავალ მსხვერპლთა დანთხეულ სისხლს, შრომის სუფევის დასამყარებლად და ასაციკროვნებლად ამ ბედკრულს ქვეყანაზე! მაგრამ სიკეკლუცე პირველი მაისისა, ჩვენთვის, ქართველი ერისათვის ყოველისფერს აღემატება: იგი კურთხევაა კურთხევის, ნეტარება ნეტარების, როგორც უდიდესი ძეგლი ნეტარი თამარისა, ეს იმ თამარისა, რომლის სახელიც მთელ ჩვენ ერის ცხოვრებაში დარჩა თვალ-წარმტაც ლეგენდად, ვით საზღაპრო გმირის ხელთუქნარი ძეგლი! ნუ ვიტყვით, ვინ არის თამარი, ნუ ვიკითხავთ, რამდენად მართალია მისი ღვაწლი ჩვენს ერის თავზე, - ის იყო რეალობა, ზღაპრული მანტიით მოკვალთული რეალობა, ოცნების სანუკვარი სიზმარი, და დაე, დარჩეს კვლავ ამ მიუწვდომელ ოცნებად სიხარულის ფრთაგამლილ ფრინველად: ლეგენდა იმად არის კარგი, რომ ადამიანი მოჰხიბლოს, დაატყვევოს მშვენიერებით და დღიური სიდუხჭირის დავიწყებით ეზიაროს თავბრუ დამსხმელს ნეტარებას!“²⁸ (კასრაძე, 1915კ: 2)

დ. კასრაძე ყოველთვის დიდი ინტერესით ეკიდებოდა ქართულ-ოსური მეგობრობის თემას. იგი ითვლებდა ერთ-ერთ აქტიურ მთარგმნელად კ. ხეთაგუროვის ლექსებისა და მოთხრობებისა²⁹. თარგმნიდა აგრეთვე ოსურ ანდაზებს, კითხულობდა ლექციებს ორი ერის ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების შესახებ. ვფიქრობთ, დ. კასრაძეს ჰქონდა მორალური უფლება, დაეწერა შემდეგი სტრიქონები: „ოსეთი, რა თქმა უნდა, მიყვარს, რადგან იშვიათია შემთხვევა, რომ ორ ერს ისე მეგობრულად ეცხოვროს, როგორც ქართველები და ოსები ცხოვრობენ, მე კი შემძლია ვთქვა, რომ ორივე ხალხს ვეკუთვნი“. (საბჭოთა ოსეთი, 1963)

როგორც ვახსენეთ დავით კასრაძე აქტიურად თარგმნიდა კოსტა ხეთაგუროვის შემოქმედებას. ამ უკანასკნელის შემოქმედება ყოველთვის აინტერესებდა ქართველ მკითხველს. ამიტომაც სხვადასხვა დროს ქართველ მწერალთა და მოღვაწეთაგან ბევრი იყო დაკავებული მისი თხზულებების ქართულ ენაზე თარგმნით.

1936 წელს აღინიშნა კ. ხეთაგუროვის გარდაცვალებიდან 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელმაც ფართო ასახვა ჰპოვა ცხინვალის იმდროინდელ ერთადერთ ქართულენოვან გაზეთში „საბჭოთა ოსეთი“. მოზრდილ საგაზეთო მასალაში „ოსეთის სახალხო პოეტი - კოსტა ხეთაგუროვი“ აღწერილია ზოგიერთი ეპიზოდი პოეტის ცხოვრებიდან. იქვე იბეჭდება მისი ლექსები: „წინასწარმეტყველად ნუ მიგულებთ“, „ღარიბის სიმღერა“, „ნანა“ (საბჭოთა ოსეთი, 1936).

²⁵ მასალა იბეჭდება „ქართული“-ს ფსევდონიმით.

²⁶ მასალა იბეჭდება „ქართული“-ს ფსევდონიმით.

²⁷ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ თამარ მეფის წმინდანად შერაცხვის შემდეგ, წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის ხსენების დღედ დადგენილია 1 (14) მაისი;

²⁸ მასალა დაბეჭდილია ფსევდონიმით „დ. კ-ძე“.

²⁹ დ. კასრაძე ბრწყინვალედ ფლობდა ოსურ ენას. მას ეკუთვნის 30-იან წლებში გამოცემული ოსური ლიტერატურის პირველი ანთოლოგია.

უნდა აღინიშნოს, ხეთაგუროვის ჩამოთვლილ ლექსთა თარგმანები დავით კასრადეს ეკუთვნის.

ჯერ კიდევ ცარიზმის თვითმპყრობელობის უღელქვეშ მგმინავი ოსი ხალხის დუხჭირი ცხოვრებით გულდამძიმებული კოსტა ხეთაგუროვი წინ გაუძღვა საკუთარ ხალხს. დროულად იტვირთა რჩეულის, ერის წინამძღოლის უაღრესად საპასუხისმგებლო მისია, საკუთარი პოეზია ტრიბუნად აქცია და პოეტის სრულიად ახალი სახე შექმნა:

„წინასწარმეტყველად ნუ მიგულებთ მწირ უდაბნოში,
ბოროტების ხმა ჩემს ოცნებას არ ეყურება
გრგვინავდეს კაცთა მძულვარება უმეცარ ბრბოში,
ბრბო ველარ შეძლებს ჩემი ტაძრის განადგურებას.
ამ ქვეყნის ძლიერთ არ გავუწვდი ხელს არასოდეს
არც მეგობრობას დამიმძიმებს მძური ნუგეში.
არ მეშინიან განშორების, - ვინღა მახსოვდეს?
რისთვის ვიტვირთო ანგარების გრძნობა უხეში?
სიკვდილის ჯაჭვი ვერ შებორკავს ჩემს აღმაფრენას,
ყოველთვის მზად ვარ სიცოცხლისთვის ვაჟდერო ჩანგი,
მინდა სიმართლე დავადულო პოეტის ენას,
ძალმომრეობას ჩავუნგრეო მკერდი ნაჟანგი...“

კ. ხეთაგუროვის ლექსის „წინასწარმეტყველად ნუ მიგულებთ“ დ. კასრადისეული თარგმანი ოსი პოეტის თხზულებათა თარგმანებს შორის ერთი საინტერესო ნიმუშია. დ. კასრადის თარგმანები თავისებური პოეტური ღირსებებით გამოირჩევა. სათქმელის გაშლითა და აზრის მკვეთრად გადმოცემით კიდევ უფრო უახლოვდება ორიგინალს.

დ. კასრადისეულ ხეთაგუროვის თხზულებების თარგმანთა შორის საგულისხმო ნიმუშია „ნანა“. ჩანს მთარგმნელი პასუხისმგებლობით მოკიდებია მას. „ნანა“ თითქოს „ერთი ამოსუნთქვით“ იკითხება. თარგმანი მოქნილი და ელასტიურია:

„ხელი შენს რწევას ჩვევია
მთვარე კრთის აკვანთანაო.
დავაჟკაცდები, მომაღხენ,
ნანიანა, ნანა, ნანაო.
სიმღერის ხმებში ჩავაქსოვ
იმედის სხივებს თანაო.
ბატკანს გამოგზორდი მარჩენლად,
ნანიანა, ნანა, ნანაო!
ნეტამც დღეგრძელი მეყოლო
ყოველთვის, ყოველგანაო.
სიცოცხლეს ახლად ვიგრძნობდი
ნანიანა, ნანა, ნანაო.
სიკვდილის პირზე მიმდგარსა
მიმიყვან შენს გულთანაო,
ანდერძად სიტყვას გიტოვებ
სახატეს კანდელთანაო,
გიყვარდეს შენი ქვეყანა,
ნანიანა, ნანა, ნანაო“.

ბუნებრივია, კ. ხეთაგუროვის შემოქმედების ცალკეულ ეტაპებზე მის პოეზიაში არის რუს კლასიკოსთა პოეზიისთვის დამახასიათებელი ცალკეული ელემენტები (პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის, კრილოვის).

ჰაჯი მურად ძუცათი წერდა: „რუსი პოეტების „მიბაძვა“ გვხვდება ოსურ ნაწარმოებებშიც (ლექსებში - „ორი ყვავი“, „ღარიბის სიმღერა“, იგავ-არაკებში - „ყვავი და

მელა“, „მგელი და წერო“, „ბატები“). მაგრამ ესენი იმდენად ღრმად ეროვნული და ინდივიდუალურად პოეტურნი არიან, რომ ძნელად თუ მიახლოებები იმ ნაწარმოებებს, რომელთაც „ჰბაძავენ“ (ბუცათი, 1979: 10)

ჩამოთვლილ ოსურ ლექსთაგან ერთ-ერთის დ. კასრაძისეულ თარგმანს დავიმოწმებთ საილუსტრაციოდ:

„ზამთარი მოდის მსუსხავი,
ქარით და თოვლით მყეფარი,
ყინულის ლოდზე მდებარი.
დღე უსინათლოდ ღამდება,
ბოლო არ უჩანს ღამესა
კვარი ხრჩოლებით თვალსა სთხრის
ცრემლებით მოკამკამესა.
ან ფასი როდის უნახავს,
ღარიბის ნამუშევარსა,
ჯავრს და ვაება-წყევასა...“

სამწუხაროდ, ზემოთ მოტანილი თარგმანი ერთგვარად დამძიმებულია და არადამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას ტოვებს. ფაქტის გადმოსაცემად არც ისე მოხდენილი ფორმებია მოძებნილი, თუმცა იდეა ნაცნობია! სოციალური მოტივი და მცდელობა ერის გამოფხიზლების, დაფიქრების და უკეთესი მერმისის სამიებლად დარაზმვის გარდაუვალი აუცილებლობა.

ყოველივე ეს განაპირობებდა იმ ფუძემდებელ ლიტერატურულ ურთიერთობებს, რომლებიც ქართულ-ოსური ხანგრძლივი თანაცხოვრების პირობებში იწრთობოდა. ცხინვალის რეგიონის პრესაში და არა მხოლოდ, პერიოდულად იბეჭდებოდა კ. ხეთაგუროვის პოეტურ ქმნილებათა თარგმანები: „იმედი“ (თარგ. ივ. ყიფიანისა), „გოდება“ (თარგ. ვ. გაფრინდაშვილისა), „მერცხალი“ (თარგ. მიქ. პატარიძისა), „მონის სიმღერა“ (თარგ. დავ. გაჩეჩილაძისა), „ობლების დედა“, „ღარიბის გული“, „სასამართლოს წინაშე“ (თარგ. ვ. გორგაძისა), „არ დავიჯერო, არ მახსოვდეს“ (თარგ. შ. აფხაიძისა), „მიმართვა“ (თარგ. ს. შანშიაშვილისა) და ა.შ.

გასული საუკუნის პირველ ათწლეულებში არაერთხელ გაიმართა კოსტა ხეთაგუროვისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებები, თუმცა, იმ პერიოდის იუბილეთა შორის, რომლებიც ოსი მოღვაწის ხსოვნას უძღვნა ქართველმა საზოგადოებრიობამ, გრანდიოზულობით გამოირჩევა ის მრავალმხრივი კულტურული ღონისძიებანი, რომლებიც 1939 წელს გაიმართა და კოსტას დაბადებიდან 80 წლისთავის საზეიმო აღნიშვნას მიეძღვნა.

საქართველოს მწერალთა კავშირში შეიქმნა კ. ხეთაგუროვის საიუბილეო კომისია (ა. აბაშიძე, რ. გვეტაძე, ვ. გორგაძე, კ. კალაძე, ს. ჩიქოვანი) ი. მოსაშვილის თავმჯდომარეობით. ამ ფაქტთან დაკავშირებით ქართულ ენაზე დაიბეჭდა კოსტა ხეთაგუროვის ლექსებისა და პოემების საიუბილეო კრებული, რომელშიც დავით კასრაძის მიერ თარგმნილი კ. ხეთაგუროვის პოეტური ნიმუშების გვერდით, შევიდა ვ. გაფრინდაშვილის, ი. გრიშაშვილის, ს. შანშიაშვილის, შ. აფხაიძის, ი. მჭედლიშვილის და სხვათა თარგმანები.

დავით კასრაძის სახელი გააქტიურდა 1952 წლის მაისის მიწურულს, როდესაც ცხინვალმა უმასპინძლა ქართული პოეზიის ორ ბუმბერაზს - გალაკტიონს და გიორგი ლეონიძეს. ამ შეხვედრის შესახებ პროფ. ალ. ლლონტი წერს: „ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში ვმუშაობდი. ერთ დღეს პარტიის საოლქო კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა აკაკი იმნაძემ მთხოვა, შეხვედროდი ქართველ მწერალთა დიდ ჯგუფს, რომელიც ცხინვალს ესტუმრა ლიტერატურული საღამოს გასამართად. ოს მწერლებს რევაზ ასავეი მეთაურობდა, ის იყო ჩვენი მთავარი

მასპინძელი. ქართველ მწერალთა ჯგუფს გალაკტიონიც ამშვენებდა. დილით გაიმართა დიდი მიტინგი კოსტა ხეთაგუროვის ძეგლთან. მახსოვს გალაკტიონი და გოგლა ძეგლს მარჯვნივ და მარცხნივ უდგნენ. იმავე დღეს ჩატარდა ლიტერატურული საღამო“. (მღებრიშვილი, 1996)

ხსენებულმა საღამომ, როგორც ჩანს, დიდი წარმატებით ჩაიარა. მის შესახებ მასალები გამოქვეყნდა იმ პერიოდის რესპუბლიკურ და ადგილობრივ პრესაში. ეს დღე ქართველი და ოსი ხალხის მეგობრობის ბრწყინვალე დადასტურებად იქცა. ქართველ ავტორიტეტულ მწერალთა ამხელა ჯგუფი ცხინვალს მანამდე არ ახსოვდა. საზეიმო ცერემონიალი საბჭოების სასახლის სხდომათა დარბაზში გაიმართა. საღამოს ესწრებოდნენ: გალაკტიონი, გოგლა ლეონიძე, სანდრო შანშიაშვილი, ალიო მირცხულავა, დავით კასრაძე, ოთარ ჩხეიძე, აკაკი ბელიაშვილი, ალექსანდრე გომიაშვილი, სიკო ფაშალიშვილი, ბესო ჟღენტა, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, სიმონ წვერავა, ივანე ურჯუმელაშვილი, ალექსანდრე ქუთათელი და ა.შ. მასპინძლების როლში მოიაზრებოდნენ ოსი მწერლები: რევაზ ასავეი, გაფეზი, გიორგი ძუგაევი, ილია ფლიევი, ივანე ცხოვრებოვი და სხვ.

დავით კასრაძის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში ვრცელი ადგილი უკავია უცხოეთის თემას. პუბლიცისტის მხედველობის არეში ხშირად ექცევა ევროპის ცენტრალურ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენები. მკითხველს საშუალება აქვს თვალი მიადევნოს სხვა ქვეყნების უმნიშვნელოვანეს სიახლეთა ქრონიკას, მოისმინოს საინტერესო და საფუძვლიანი ანალიზი ისეთ ფაქტებზე, როგორებიცაა ინგლის-საფრანგეთის ესკადრის მიერ დარდანელის გარღვევის დასაწყისი³⁰ (კასრაძე, 1915გ: 7), ჩვენი ქვეყნის რყევის პერიპეტები გარე მეზობელთა ომიანობის პირობებში³¹ (კასრაძე, 1915ი: 2), ფრანგი პილოტი ოფიცრის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს განცდილი მარცხი³² (კასრაძე, 1915ე: 15), პარიზში ჟანა დარკის ძეგლის დადგმის შესახებ³³ (კასრაძე, 1914ა: 3), ომიანობის პირობებში ხალხთა უფლებების საკითხები (კასრაძე, 1914ბ: 7), ოსმალეთ გერმანიის შეთანხმება³⁴ (კასრაძე, 1915მ: 12), რუსეთის საფრთხე³⁵ (კასრაძე, 1915ნ: 12) და მრ. სხვ.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს გერმანიისადმი მიძღვნილი წერილების ციკლი. სავარაუდოდ, ეს ინტერესი გამოწვეული იყო პირველ მსოფლიო ომში გერმანიის იმპერიის აქტიური ჩართულობით. დავით კასრაძე ფაქტებზე დაყრდნობით იძლევა ვრცელ ანალიზს ომის პირველი დღეების, მისი მიმდინარეობის, ძალთა გადაადგილების, სამრეწველო წარმოების, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, მრეწველობის და სხვა მნიშვნელოვან საკითხთა შესახებ.

„დღეს ბევრ რამეს ლაპარაკობენ გერმანიაზე. მტრულმა განწყობილებამ უკანასკნელ გათახსირების წერტილამდე ჩამოიყვანა გერმანია. დღეს სიტყვა „გერმანული“ საშინელების შემეცნებადაა მიჩნეული, ბარბაროსობის და უსამართლობის სინონიმად. გაზეთის ფურცლებზე ხომ ათას რამეს კითხულობთ გერმანელთა სიმხეცეზე და თითქმის მართალიც არის ესა, მაგრამ ისე მოსჩანს, თითქო ყოველ ბოროტების ჰორიზონტზე მხოლოდ ერთ გერმანიას აუგია თავისი რკინის სამეფო, სადაც გაბატონებულ უხეშ ძალას შიშისა და ზარის ფრთები გაუშლია...“³⁶ (კასრაძე, 1914გ: 8)

³⁰ მასალა დაიბეჭდა „დიოგენი“-ს ფსევდონიმით.

³¹ მასალა დაიბეჭდა „ქართლელი“-ს ფსევდონიმით.

³² მასალა დაბეჭდილია „X“-ის ფსევდონიმით.

³³ მასალა დაბეჭდილია „დიოგენი“-ს ფსევდონიმით.

³⁴ მასალა დაბეჭდილია „X“-ის ფსევდონიმით.

³⁵ მასალა დაბეჭდილია „X“-ის ფსევდონიმით;

³⁶ მასალა დაბეჭდილია „დ. კ-ძე“-ს ფსევდონიმით.

ასეთი ვითარების მიუხედავად დ. კასრამე აღტაცებით მოუთხრობს მკითხველს გერმანელთა განსაცვიფრებელი აღმოჩენებისა და ტექნოლოგიური პროგრესის შესახებ. იგი წერს - „გერმანულ ტექნიკას საოცარი სისწრაფით გაჰყავს ელექტრონი უმავთულოდ და ურეზინოთ, ქაღალდისგან აკეთებენ ბამბას, ძველი გაზეთებიდან ჰკერენ ზამთრის საბნებსა და ტანსაცმელებს, სამზარეულოს ნარჩენებიდან ჰკვებენ საქონელს, „ჩალის ფქვილით“ ჰკვებავენ ღორებს, ქალაქის მოედნებზე, უდაბნო ადგილებზე და ნაჭაობარებზე სთესენ კარტოფილსა და პურს, შაქრისაგან ჰხდიან სპირტს და ამოდრავებენ ავტომობილებს, ჰქმნიან ერთგვარ მცენარეობის ჯიშს, უწყელებოდ აკეთებენ ძეხვებს, ურეზინის მაფოდ ჰქსოვენ საწვიმურებს და სხვა და სხვა“.³⁷ (კასრამე, 1915დ: 14)

გერმანიის საგარეო პოლიტიკის, ქვეყნის შიდა საკითხების და გერმანელთა წინაშე მდგარი გამოწვევების განხილვას ისახავს მიზნად დ. კასრამის პუბლიცისტური მასალები: „გერმანია და გერმანელები“³⁸ (კასრამე, 1914დ: 7), „გერმანია და ინგლისი“³⁹ (კასრამე, 1915გ: 11), „გერმანელები ბელგიაში“ (კასრამე, 1914ბ: 4), „გერმანიის დემილიტარიზმი“⁴⁰ (კასრამე, 1914ე: 4), „გერმანელები და ხალხთა უფლება“⁴¹ (კასრამე, 1915ბ: 11) და სხვ.

დასკვნა. ამგვარად, დავით კასრამის პუბლიცისტური ტექსტების შესწავლა უაღრესად მნიშვნელოვანია რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის სრულყოფილად წარმოდგენის მნიშვნელოვან საქმეში. მისი პუბლიცისტური შემოქმედება მრავალპლანიანი და საინტერესოა. იგი ეხება მისი დროის თითქმის ყველა საგულისხმო საზოგადოებრივ, ეროვნულ, ქვეყნისთვის, რეგიონისთვის მნიშვნელოვან პრობლემას.

დ. კასრამის არაერთი პუბლიცისტური წერილი გალამქრება ყალბი ღირებულებების, გაქსუებული ჩინოვნიკების, ფსევდო ლიბერალური ფასეულობების, საზოგადოების ლატაკი ფენის უშიშროების მდგომარეობით გამოწვეული სავალალო შედეგების წინააღმდეგ. მისი, როგორც პუბლიცისტის პოზიცია სამშობლოს ბედზე დამწუხრებელი საზოგადო მოღვაწის პოზიციაა, ასეთი მდგომარეობა კი გამოწვეულია მეფის რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის შედეგებით, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით, ქვეყნის რუსეთის იმპერიის გუბერნიად გამოცხადებით, სახელმწიფო საზღვრების მოშლით, ავტოკრეფალიის გაუქმებით, გადასახადების ზრდით, მოხელეთა თავგასულობით და ა.შ.

საკუთარ შემოქმედებაში იგი საგანგებო ადგილს უთმობს თეატრალურ ცხოვრებას. აქვეყნებს საგაზეთო პუბლიკაციების არაერთ სერიას, რომლებშიც მკაცრი კრიტიკოსის მზერით ადევნებს თვალს მიმდინარე მოვლენებს.

დავით კასრამის მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები ქართული პუბლიცისტის მნიშვნელოვანი შენამენია. მათში გაშუქებულია საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთი მნიშვნელოვანი უბანი. ავტორი ოპერატულად, მიუკერძოებელი და ობიექტური არბიტრის პოზიციიდან წარმოადგენს ყოველდღიური ცხოვრების დეტალებს და ცდილობს მხედველობიდან არ გამორჩეს ეროვნული, სახელმწიფოებრივი, კულტურული და სხვა აქტუალური პრობლემები.

გამოყენებული ლიტერატურა:

ამირანი. (1908). #13.

თეატრი და ცხოვრება. (1914)ა. #24.

³⁷ მასალა დაბეჭდილია „X“-ის ფსევდონიმით.

³⁸ მასალა დაბეჭდილია „დ. კ-ძე“-ს ფსევდონიმით.

³⁹ მასალა დაბეჭდილია „დიოგენი“-ს ფსევდონიმით.

⁴⁰ მასალა დაბეჭდილია „დიოგენი“-ს ფსევდონიმით.

⁴¹ მასალა დაბეჭდილია „დიოგენი“-ს ფსევდონიმით.

- თეატრი და ცხოვრება. (1914)ბ. #33.
- თეატრი და ცხოვრება. (1916). #37.
- კასრაძე, დ. (1913)ა. თეატრი და ხელოვნება (ოტელლო ქართულ სცენაზე). *კლდე*. #12.
- კასრაძე, დ. (1913)ბ. სასულიერო სემინარიაში (12 მაისის დღესასწაულის გამო). *კლდე*. #22.
- კასრაძე, დ. (1913)გ. ჩვენ და ცხოვრება. *კლდე*. #41.
- კასრაძე, დ. (1913)დ. ჯვარცმული ჭემმარიტება. *კლდე*. #16.
- კასრაძე, დ. (1914)ა. Novus rerum ordo.... *კლდე*. #39.
- კასრაძე, დ. (1914)ბ. გერმანელები ბელგიაში. *კლდე*. #30.
- კასრაძე, დ. (1914)გ. გერმანია და გერმანელები. *კლდე*. #37. ნაწ. I.
- კასრაძე, დ. (1914)დ. გერმანია და გერმანელები. *კლდე*. #38, ნაწ. II.
- კასრაძე, დ. (1914)ე. გერმანიის დემილიტარიზმი. *კლდე*. #35.
- კასრაძე, დ. (1914)ვ. თეატრი და ხელოვნება. *კლდე*. #36.
- კასრაძე, დ. (1914)ზ. ომი და ხალხთა უფლებები. *კლდე*. #39.
- კასრაძე, დ. (1914)თ. პარტიული თუთიყუშები (სადღეისო). *კლდე*. #22.
- კასრაძე, დ. (1914)ი. ჩვენ და ცხოვრება. *კლდე*. #3.
- კასრაძე, დ. (1914)კ. ჩვენ და ცხოვრება. *კლდე*. #4.
- კასრაძე, დ. (1914)ლ. ცოცხალი ლეშები. *კლდე*. #34.
- კასრაძე, დ. (1915)ა. ბიბლიოგრაფია. *კლდე*. #9.
- კასრაძე, დ. (1915)ბ. გერმანელები და ხალხთა უფლება. *კლდე*. #2.
- კასრაძე, დ. (1915)გ. გერმანია და ინგლისი. *კლდე*. #7.
- კასრაძე, დ. (1915)დ. გერმანიაში. *კლდე*. #13.
- კასრაძე, დ. (1915)ე. დაბრმავებული პილოტი. *კლდე*. #15.
- კასრაძე, დ. (1915)ვ. დარდანელის საკითხი. *კლდე*. #8.
- კასრაძე, დ. (1915)ზ. თეატრი და ხელოვნება. *კლდე*. #16.
- კასრაძე, დ. (1915)თ. თეატრი და ხელოვნება. *კლდე*. #2.
- კასრაძე, დ. (1915)ი. ომი და ჩვენი მომავალი. *კლდე*. #11.
- კასრაძე, დ. (1915)კ. პირველი მაისობა. *კლდე*. #16.
- კასრაძე, დ. (1915)ლ. პროფ. ივ. ჯავახიშვილის ლექციის გამო. *კლდე*. #3.
- კასრაძე, დ. (1915)მ. ქრონიკა. *კლდე*. #2.
- კასრაძე, დ. (1915)ნ. შეკრულ ყუთებთან. *კლდე*. #5.
- კასრაძე, დ. (1915)ო. ჩვენ და ცხოვრება. *კლდე*. #15.
- კასრაძე, დ. (1915)პ. ჩვენ და ცხოვრება. *კლდე*. #18.
- კასრაძე, დ. (1915)ჟ. ქ-ნი ნინო ჩხეიძე მედეას როლში. *კლდე*. #13.
- კასრაძე, დ. (1946 წლის 7 აგვისტო)ა. „ხევისბერი გოჩა“ სტალინირის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრში. *საბჭოთა ოსეთი*.
- კასრაძე, დ. (1946)ბ. კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის დათვალიერება. *საბჭოთა ოსეთი*. #137.
- კასრაძე, ვ. (1946 წლის 27 ივლისი)გ. რას უნდა მიაქციოს ყურადღება სტალინირის ქართულმა თეატრმა მომავალში. *საბჭოთა ოსეთი*.
- კლდე*. (1915). #13.
- ლაშხია, ნ. & მეშვილდე, თ. (1980). *ცხინვალის ქართული თეატრი*. თბილისი.
- მღებრიშვილი, ა. (1996). მშობლიური ლიტერატურის მესაიდუმლე. *ცხინვალი*. #6.
- მღებრიშვილი, ა. (2019). *ცხინვალის ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების ისტორია*. თბილისი.
- საბჭოთა ოსეთი*. (1936 წლის 18 მაისი).
- საბჭოთა ოსეთი*. (1946). #13.
- საბჭოთა ოსეთი*. (1962). #242.
- საბჭოთა ოსეთი*. (1963 წლის 12 ნოემბერი).

სახალხო გაზეთი. (1912). #676.
 სახალხო გაზეთი. (1913). #973.
 ძუცვათი, ჰ. მ. (1979). კოსტა ხეთაგუროვი. თბილისი.
 Хурзари. (1924). #1.

REFERENCES:

- amirani [Amirani]*. (1908). #13.
teat'ri da tskhovreba [Theatre and life]. (1914)a. #24.
teat'ri da tskhovreba [Theatre and life]. (1914)b. #33.
teat'ri da tskhovreba [Theatre and life]. (1916). #37.
 k'asradze, d. (1913)a. *teat'ri da khelovneba (ot'ello kartul stsenaze) [Theatre and art (Otello on the Georgian Theatre)]*. *k'ide [Klde]*. #12.
 k'asradze, d. (1913)b. *sasuliero seminariashi (12 maisis dghesasts'aulis gamo) [Theological Seminary (For the purpose of May 12)]*. *k'ide [Klde]*. #22.
 k'asradze, d. (1913)g. *chven da tskhovreba [Us and Life]*. *k'ide [Klde]*. #41.
 k'asradze, d. (1913)d. *jvartsmuli ch'eshmarit'eba [Sacred truth]*. *k'ide [Klde]*. #16.
 k'asradze, d. (1914)a. *Novus rerum ordo... [Novus rerum ordo]*. *k'ide [Klde]*. #39.
 k'asradze, d. (1914)b. *germanelebi belgiashi [The Germans of Belgium]*. *k'ide [Klde]*. #30.
 k'asradze, d. (1914)g. *germania da germanelebi [The Germans and Germany]*. *k'ide [Klde]*. #37. I.
 k'asradze, d. (1914)d. *germania da germanelebi [The Germans and Germany]*. *k'ide [Klde]*. #38, II.
 k'asradze, d. (1914)e. *germaniis demilit'arizmi [Demilitarism of Germany]*. *k'ide [Klde]*. #35.
 k'asradze, d. (1914)v. *teat'ri da khelovneba [Theatre and Art]*. *k'ide [Klde]*. #36.
 k'asradze, d. (1914)z. *omi da khalkhta uplebebi [Was and People's rights]*. *k'ide [Klde]*. #39.
 k'asradze, d. (1914)t. *p'art'iuli tutiqushebi (sadgheiso) [Party parrots (Contemporary)]*. *k'ide [Klde]*. #22.
 k'asradze, d. (1914)i. *chven da tskhovreba [Us and the life]*. *k'ide [Klde]*. #3.
 k'asradze, d. (1914)k'. *chven da tskhovreba [Us and the life]*. *k'ide [Klde]*. #4.
 k'asradze, d. (1914)l. *tsotskhali leshebi [The living flesh]*. *k'ide [Klde]*. #34.
 k'asradze, d. (1915)a. *bibliograpia [Bibliography]*. *k'ide [Klde]*. #9.
 k'asradze, d. (1915)b. *germanelebi da khalkhta upleba [The Germans and the People's rights]*. *k'ide [Klde]*. #2.
 k'asradze, d. (1915)g. *germania da inglisi [Germany and England]*. *k'ide [Klde]*. #7.
 k'asradze, d. (1915)d. *germaniashi [In Germany]*. *k'ide [Klde]*. #13.
 k'asradze, d. (1915)e. *dabrmavebuli p'ilot'i [Blind pilot]*. *k'ide Klde*. #15.
 k'asradze, d. (1915)v. *dardanelis sak'itkhi [The issue of the Dardanelles]*. *k'ide [Klde]*. #8.
 k'asradze, d. (1915)z. *teat'ri da khelovneba [Theatre and art]*. *k'ide [Klde]*. #16.
 k'asradze, d. (1915)t. *teat'ri da khelovneba [Theatre and art]*. *k'ide [Klde]*. #2.
 k'asradze, d. (1915)i. *omi da chveni momavali [War and our future]*. *k'ide [Klde]*. #11.
 k'asradze, d. (1915)k'. *p'irveli maisoba [May 1st]*. *k'ide [Klde]*. #16.
 k'asradze, d. (1915)l. *p'rop. iv. javakhishvilis lektsiis gamo [For Prof. Iv. Javakhishvili's lecture]*. *k'ide [Klde]*. #3.
 k'asradze, d. (1915)m. *kronik'a [Chronicles]*. *k'ide [Klde]*. #2.
 k'asradze, d. (1915)n. *shek'rul qutebtan [Near the covered boxes]*. *k'ide [Klde]*. #5.
 k'asradze, d. (1915)o. *chven da tskhovreba [Us and the life]*. *k'ide [Klde]*. #15.
 k'asradze, d. (1915)p'. *chven da tskhovreba [Us and the life]*. *k'ide [Klde]*. #18.
 k'asradze, d. (1915)zh. *k-ni nino chkheidze medeas rolshi [Mad. Nino Chkheidze in the role of "Medea"]*. *k'ide*. #13.

- k'asradze, d. (1946 ts'lis 7 agvist'o)a. „khevisberi gocha“ st'aliniris k'ost'a khetagurovis sakhelobis sakhelmts'ipo teat'rshi [”Khebisberi Gocha” in the Kosta Khetagurov state theatre in Stalinir]. *sabch'ota oseti [Soviet Ossetia]*.
- k'asradze, d. (1946)b. k'ost'a khetagurovis sakhelobis st'aliniris sakhelmts'ipo teat'ris datvaliereba [The walk-through of in the Kosta Khetagurov state theatre in Stalinir] *sabch'ota oseti [Soviet Ossetia]*.#137.
- k'asradze, v. (1946 ts'lis 27 ivlisi)g. ras unda miaktsios quradgheba st'aliniris kartulma teat'rma momavalshi [What Staliniri Georgian theatre should pay attention to in the future]. *sabch'ota oseti [Soviet Ossetia]*.
- k'lde [Klde]*. (1915). #13.
- lashkhia, n. & meshvilde, t. (1980). *tskhinvalis kartuli teat'ri [Georgian theater of Tskhinvali]*. Tbilisi.
- mghebrishvili, a. (1996). mshobliuri lit'erat'uris mesaidumle [The secret-keeper of the literature]. *tskhinvali*. #6.
- mghebrishvili, a. (2019). *tskhinvalis lit'erat'uruli da k'ult'uruli tskhovrebis ist'oria [The history of literary and cultural life of Tskhinvali]*. Tbilisi.
- sabch'ota oseti [Soviet Ossetia]*. (1936 ts'lis 18 maisi).
- sabch'ota oseti [Soviet Ossetia]*. (1946). #13.
- sabch'ota oseti [Soviet Ossetia]*. (1962). #242.
- sabch'ota oseti [Soviet Ossetia]*. (1963 ts'lis 12 noemberi).
- sakhalkho gazeti [The people's newspaper]*. (1912). #676.
- sakhalkho gazeti [The People's newspaper]*. (1913). #973.
- dzutsati, h. m. (1979). *k'ost'a khetagurovi [Kosta Khetagurov]*. Tbilisi.
- Hurzarin [Khurzarin]*. (1924). #1.